ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 193 სექტემბერი 11, ოთხშაბათი 1891 სექტემბერი 11, ოთხშაბათი № 193

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ახალი ამბავი

*** სასიამოვნოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენის ბელეტრისტის ა. მოჩხუბარიძის ნაწერები ძლიერ კარგად იყიდება. ამ მოკლე ხანში ათასამდე წიგნი გაიყიდა, ასე რომ თუ ესე სიჩქარით დაიტაცა ჩვენმა საზოგადოებამ ეს თხზულება, მალე ერთი ცალიც აღარ დარჩება გასასყიდად.

*** ამ თთვის 19 ტფილისში ჩამოვიდნენ პარიჟიდგან საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სადი-კარნოს ახლო ნათესავნი, საფრანგეთის წარჩინებული გრაფები: ლიურ სალიუსი, დე სენტ ფალე და გრაფინია ლაფერონე, რომელნიც საფრანგეთის ელჩისას ჩამოხდნენ.

*** მწერალს ველიჩკოს, რომელსაც უკვე უთარგმნია ჩვენი მწერლების ზოგიერთი ლექსი, ამ ჟამად, როგორც მკითხველებმაც უწყიან, გადაუთარგმნია ლექსად ჩვენის საყვარელის აკაკის დრამა-პოემა „თამარ ცბიერი“. ამბობენ, თარგმანი ძალიანი კარგი არისო; ეს თარგმანი ამ მოკლე ხანში ჟურნალს „Сѣв. Вѣстникъ“-ში იქნება დაბეჭდილი. როგორც შევიტყეთ, ბ-ნს ველიჩკოს „თორნიკე ერისთავის“ გადათარგმნაც უნდა.

*** ორშაბათს, 9 ამ თთვეს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, კრება ჰქონდათ ქალაქის სასტუმროებისა და ტრაქტირების პატრონებს თავიანთ შორის 15-ის დეპუტატისა და 15 კანდიდატის ამოსარჩევად. ამოირჩიეს 13 კაცი და კრება დაიშალა; დანარჩენ 2 დეპუტატისა და 15 კანდიდატის ასარჩევად მეორე კრებაა დანიშნულია პარასკევს, 13 ამ თთვეს. ამ დეპუტატებმა საშუალ აქციზის გადასახადი უნდა გააწერონ სასტუმროებისა და ტრაქტირების პატრონებს.

*** გუშინ, ამ თთვის 10, სურსათსანოვაგისა და ბაკების პატრონები უნდა შეკრებილიყვნენ თავიან-შორის დეპუტატების ასარჩევად იმავე საშუალ აქციზის გადასახდელის გასაწერად, მაგრამ კრება არ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი დამსწრეთა არ შეიკრიბა. ეს კრება დანიშნულია მომავალ სამშაბათისათვის, ამ თთვის 17.

*** ამას წინად ტფილისში ქოთაო გაჩნდა და, ცხენებს გარდა, ერთი კაციც იმსხვერპლა ამ სენმა საქალაქო ქსენონში. ამის გამო კავკასიის მთავარ-მართებელმა შერემეტევმა უბრძანა, რაიმე ღონისძიება იღონეთ ამ სენის მოსასპობადაო. ამ ბრძანებისამებრ გუშინ ტფილისის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილებაში კრება მოხდა ამ საქმის შესახებ შედგენილ კომისიისა. კომისიამ განიხილა საქმე და გადასწყვიტა, ტფილისი ხუთ საბეითალო ნაწილად გაჰყოს და ყოველი ნაწილი ცალკე ბეითალს ჩააბაროს. ბეითალს ბ-ნ ბოლოტოვს ჩააბარეს პირველი საბეითალო ნაწილი, რომელიც შესდგება 1, 2, 3 და 4 პოლიციის განყოფილებისაგან. მეორე საბეითალო ნაწილი ჩააბარეს ბეითალს ბ-ნს შეინფოგელს (პოლიციის მე-5 და მე-9 განყოფილება) ბეითალს ბ-ნს მეშჩერსკის ჩაჰბარდა მესამე ნაწილი, რომელსაც შეადგენს პოლიციის მე-6 და მე-8 განყოფილება. მეოთხე ნაწილი (ავლაბარი და ნავთლუღი) ჩააბარეს ბეითალს ბ-ნს ისპანდიაროვს და მეხუთე ნაწილი (მე-10 პოლიციის განყოფილება და დიდუბე)—ბეითალს ბ-ნს მელქუმოვს. ამორჩეული ბეითალები ამ დღეებში დაათვალიერებენ თავიანთს ნაწილებში ცხენებს, და თუ რომელსამე ცხენს ქოთაო აღმოაჩნდა, მაშინვე მოჰკლავენ. დანარჩენს ცხენებს-კი, თუ რაიმე გადასადები სატკივარი აქვთ, უნდა უწამლონ პატრონის ხარჯით.

*** ტფილისის კრუჟოკ“-ის რამდენსამე წევრს კარგი აზრი მოსვლია; ამათ განუზრახავთ შიდა რუსეთში დამშეულთათვის დახმარება: სათამაშო ქაღალდის თითო შეკვრაზედ ექვსი შაური ვიხადოთ ამ დამშეულთა სასარგებლოდაო. ეს აზრი უნდა „კრუჟოკ“-ის წევრთა საზოგადო კრებას გამოუცხადონ, რომ ამან ყველასათვის სავალდებულოდ დააწესოს ეს გადასახადი.

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან რუსულ ჟურნალ „რუსკაია სტარინა“-ს რედაქტორს ბ-ნს სემიევსკის, რომელსაც ჰსურს საქართველოში შეაგროვოს სხვა-და-სხვა საისტორიო და საარხეოლოგიო მასალა თავისს ჟურნალში დასაბეჭდად.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიის დირექციას მემრის გიმნაზიის ეზოში საგიმნაზიო ეკკლესიის აგება სწადიან.

*** ამ თთვის 9, ღამის პირველს საათზე, „პუშკინის თეატრის“ არტისტ ს. პ—ძეს ესპეს, წარმოდგენის გათავების შემდეგ, როდესაც არტისტი თავისს სადგომში მიდიოდა, მიხეილის ქუჩაზე „გერმანიის ნომრების“ ახლოს დაეცა ვიღაცა უცხო კაცი, რომელმაც არტისტი ორის მუშტით ძირს დასცა და დაუწყო უბისა და ჯიბეების ჩხრეკა. არტისტმა ბ-ნმა ესპემ დაიყვირა: „მცარცვავენო“ და ამ ყვირილზე მოირბინა პოლიციის მოხელემ. ბოროტ-განმზრახველმა, დაინახა თუ არა პოლიციელი, მაშინვე მოჰკურცხლა. პოლიციელი და თვით არტისტიც უკან გამოუდგნენ, მაგრამ ვერ დაეწივნენ.

*** ქობულეთში დასაარსებელ სკოლის ფონდად წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას მიხეილ თუმანიშვილისაგან მოუვიდა 286 მ. და 20 კ. და აგრეთვე გრიგოლ ვოლსკისგან 24 მ. და 90 კ. სულ 311 მ. და 10 კ. ეს ფული შემოსულა იმ წარმოდგენიდამ, რომელიც ამას წინად გაუმართავს ბათუმში პატივცემულს მიხ. თუმანიშვილს, რომელსაც წერა-კითხვის გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის.

*** ორშაბათს ჩვენის რკინის გზის ტფილისის სადგურზედ სამანევრო ორთქლ-მავალმა კისერი წაჰგლიჯა არტილერიის ბრიგადაში გადამწერლად ნამსახურს, ივანე შირინსკს. როგორც აღმოჩნდა, შირინსკის თავის მოკვლა განუზრახავს: ბარათი დაეტოვებინა და აცხადებდა, სიცოცხლე მომბეზრდა და თავს იმიტომ ვიკლავო. ნათესავებს სთხოვდა, ჩემი ნივთები გაჰყიდეთ და იმ ფულით დამმარხეთო; რაც გადარჩეს—ჩემს ცოლს გაუგზავნეთო.

საბრალო შირინსკი გასულიყო სადგურიდამ ლიანდაგის მეოთხე რიგზედ და იმ დროს, როცა ორთქლ-მავალი გამოქანებული მოდიოდა, უცბად დაწოლილიყო და თავი ზედ რელსზედ დაედო. გვამი საანატომიო სადგომში გაგზავნეს.

*** ს. სახარბედიო: (სენაკის მაზრა) აქ 4-ს სექტემბერს ერთი კაცი მდ. ცივში დაირჩო. აი საქმე როგორ ყოფილა: ორს კაცს ს. კორცხელის მცხოვრებლებს შემოღამებია და ერ-

---

ფელეტონი

იაყუბ ყეენი და ბარათაანი

ისტორიული ესკიზი

(მე-XV საუკუნე)

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 192)

რა-კი ყეენის ჯართ დაატყეს, რომ ბარათაანთ თანდათან ძალა ელეოდათ, ისინი წათამამდნენ. იმათ ტფილისის გარემოდამ გაუსიეს საბარათიანოს ჯარები ასაკლებათ და მოსაოხრებლად. ზოგი სპართა ჯარი კიდეც შეესია სამშვილდის ანუ ძველად ორბეთის მიდამოს. დანარჩენი ჯარი მოედო ტფილისის მიდამოს და დაიძრნენ საბარათიანოსაკენ.

მოუვიდათ თუ არა ბარათაანთ დამხმარო ჯარები, იმათ ისარგებლეს მით, რომ თათარნი ერთი ადგილიდამ გაიშალნენ და ისინი მაშინვე დაეცნენ ტფილისის მახლობლად მდგომთ თათართა მონაპირე ჯარებსა. ისე მედგრად და მრისხანედ მიეტივნენ, რომ თათართ ვერც-კი შეჰმართეს რიგიანად ხელი. ამ ბრძოლაში ისე შემუსრეს ბარათაანთ სპარსნი, რომ, როგორც მოგვითხრობენ მაშინდელი მწერალნი, მოამბეც-კი აღარ წავიდა.

მოწყვეტილთა თათართა მთელი ქონება და ბანაკი დარჩათ ბარათაანთ ჯარებსა.

დატვირთულთ ამოდენა ნაშოვრით, ბარათაანთ დაიხიეს ცოტა უკან სიმაგრეებისაკენ ზურგის მოსამაგრებლად, რომ კვალად დასცემოდნენ სხვა ტფილისის მახლობლად მდგომს თათართა ჯარებს.

გაიგეს თუ არა ტფილისთან მდგმთ თურქმენთა ჯარებმა ეს ამბავი, მაშინვე დიდის სისწრაფით გამოეკიდნენ ბარათაანთა. უყელეს წინ კუმისთან.

ბარათაანი ელოდნენ მდევარს და ამიტომ მზად იყვნენ ამ დახვედრაზედ. დაინახეს თუ არა თურქმენები, პირველი ბარათაანი ეცნენ ამათა. მოიმწყვდიეს ისინი კუმისის ჩავარდნილს ტაფობებში და ისრეთი უწყალო ჟლეტა შეიქნა, რომ თურქმენთაც ის დღე დაადგათ, რაც მონაპირე თათართა, რომელნიც ის იყო გამუსრეს ბარათაანთა. გაალმასებულმა ქართველებმა გაავსეს თურქმენელების თავებით მარგილები და ღობეები კუმისის ვენახებისა. ჯერ არც-კი შეესვენათ ქართველებს ამ ორი ცხარე ბრძოლისაგან, რომ მოეწია ამათ ახალი ჯარი თათრისა—ულუსნი. რა დაინახეს ესენი გაქცეულთა და თავზარდაცემულთ თურქმენთა, ესენიც მოუბრუნდნენ გამარჯვებულს ქართველებს. ახლა ქართველები მოექცნენ სპარსთა ჯარების შუა. ქართველობა ჩაცვივდა საშინელს განსაცდელში. შეიქნა თავგანწირული ცხარე ბრძოლა. გაბრაზებულნი სპარსთა ჯარები სულ კბილთა ღრჭენით ეომებოდნენ ქართველებს. იმათ აძლევდა მხნეობას ის გარემოება, რომ ჰხედავდნენ ქართველთა მცირე ძალას და ბრძოლისაგან მოღალვას. ისინი ახლა-კი დარწმუნდნენ, რომ მოვიდა ბარათაანთა აღსასრულის დღე. მაგრამ აქაც ბარათაანთა და მათთან ერთად სხვა ქართველობამ იჩინეს თავისი საოცარი და თითქმის უმაგალითო გმირობა. „რაცა ბარათაანთა ქაიხოსრომ (ციციშვილმა) და ჯავახმან საქმე ჰქნეს არცა წინა გმირთ უქნია“ მოგვითხრობს ავტორი წერილისა „შედეგი ქართლის ცხოვრებისა“. ქართველობამ გააპო ხმალ და ხმალ თათართა ჯარები, დაამარცხა საშინლად და გავიდა სამშვილდობოს გამარჯვებული.

რა-კი თითქმის გაანახევრეს ტფილისის მახლობლად მდგომი სპარსთა ჯარები, მაშინ ბარათაანი ეცნენ იმ თათრის ჯართა, რომელნიც იყვნენ ორბეთისაკენ გასეულნი. აქ ყოველს ადგილას იწყეს ბარათაანთ თათრებზედ თავს დასხმა და თათრები მარცხდებოდნენ ყველგან. ბარათაანთ მოსცეს აქ მხარი ორბეთისა ანუ სამშვილდეს გარშემო მცხოვრებთა და შეიქნა თათართა საერთო ძლევა და დევნა.

თათარნი სრულიად მოუძლურდნენ.

რა-კი ჰნახეს ესა, ხალიბეგ და მასთან სხვა ყეენის მთავარ სარდალნი გაცვივდნენ ყეენთან. უამბეს ყველა ეს ამბები და სთხოვეს დიდძალი ჯარი, თუ უნდოდა, რომ საქართველო გამარჯვებული არ დარჩენილიყო და არ გაძლიერებულიყო შინაცა და სპარსეთზედაც.

იაყუბ ყეენი გამოვიდა მოთმინებიდამ. ყეენი, რომლისაც წინ თრთოდნენ ამ გვარი ძლიერი სახელმწიფონი, როგორც ოსმალო, ინდოეთი და სხვანი, ხდებოდა ძლეული ვისგან? განა მთელი საქართველოსგან? განა მთელი ქართლისაგან?—პაწაწინა საბარათიანოსგან, უბრალო მცირე მთავართ ბარათაანთაგან, რომელთაც სამთავრო ვერც-კი დაიდგრობდა იმ ჯარსა, რომლისაც გამოყვანა შეეძლო ყეენსა.

იმან 1490 წელსა მოსცა ხალიბეგს აუარებელი ჯარი და კვალად გამოუსია ქართლსა.

კონსტანტინე მეფემ სთხოვა კახთა და ათაბაგსა შეერთება და ერთათ ყეენის პასუხის გება. მაგრამ არც კახთა და არც ათაბეგმა არ ინდომეს ესა, რადგან, ამბობს ვახუშტი, უნდოდათ მეფე კონსტანტინეს დამარცხება, რომ საქართველოს შეერთება აღარ მომხდარიყოვო.

მოვიდა აუარებელი ჯარი სპარსთა. ზოგი მიეშველა იმ ჯარს, რომელიც ერტყა ტფილისს, ზოგი წავიდა პირდაპირ კოჟორის ციხეზედ და შემოერტყა გარსა. კოჟორის ციხის დაჭერით თათართ ეხსნებოდათ

თის ეჯიბის სახლში შესულან ღამის გასათევად. როცა მასპინძელი და სტუმრები დაწოლილან და დაუძინიათ, ერთი მგზავრთაგანი შუაღამისას ამდგარა და შეუმჩნევლად სახლიდან გამოსულა. გათენებისას, ბევრის ძებნის შემდეგ, ეს კაცი მდინარე ცივში, რომელიც ეჯიბის ახლოს ჩამოდის, დამრჩვალი უპოვნიათ. მიზეზი დარჩობისა და თვით დამრჩვალის ვინაობა არ იციან.

⁂ ს. ნიგოითი: 5 ამ თთვეს ნიგოითის სასოფლო სკოლაში ახალი ყმაწვილები მიიბარეს. ამ გარემოებამ ცხადად დაანახვა ყველას, რომ ნიგოითლებს ერთ-კლასიანი სკოლა ვერ აკმაყოფილებს. თავისუფალი ადგილი იყო სულ 12, მაშინ როდესაც სკოლაში შესვლის მსურველნი 60 მეტი აღმოჩნდა. მზრუნველებმა გადასწყვიტეს სკოლაში მიეღოთ მხოლოდ იმათი შვილები, ვისაც ჯერ არა ჰყოლია შვილი სკოლაში. გულ-დამწვარმა მშობლებმა, რომლის შვილებსაც წილად არ ხვდათ სკოლაში შესვლა, ერთხმად გადასწყვიტეს, მეორე მასწავლებელი მოვიწვიოთ ამ მასწავლებლის თანაშემწედ, სხვა შენობაც მივადგათ სკოლას, ორ-კლასიანის სკოლის აშენებამდე იოლად წავიდეთ და ჩვენის შვილების ცოდვაში ნუ ჩავვარდებითო. იმედი გვაქვს, აქაური თავად-აზნაურობაც შემწეობას აღმოუჩენს და მხარს მისცემს ნიგოითლებს ორ-კლასიანის სასწავლებლის დაარსების საქმეში. იმედი გვაქვს აგრეთვე ახალის მზრუნველებისა, რომ ამ საქებურს საქმეს დროზე დააგვირგვინებენ.

⁂ იქიდამვე: აქ საქონლის ჭირი გაჩნდა, რომელმაც დიდს შიშში ჩაგვაგდო. ეს ხშირი წვიმები კიდევ გულს გვიწვრილებს და გვემუქრება ჭინახულის დაზიანებას. მეტადრე ბარი ადგილები ეხლავე დაზიანებულია. ჭანჭათ-ნიგოითის გზის კეთება უკვე დაიწყეს. გზა მოკლე და კარგი იქნება, თუ დროით გვეშველა. რასაკვირველია, ადრე იქნება, თუ ორივე (ნიგოითის და აკეთის) მამასახლისებმა ისე მუყაითად განაგრძეს მუშაობა, როგორც დაიწყეს. კარგი იქნება, რომ ამ გზის კეთებაში ამ ორს სოფელს დაეხმარებოდნენ ის სოფლებიც, რომელთათვისაც-კი სამარჯვოდ კეთდება გზა, სახელდობრ: ბახვი, ასკანა და ბასილეთი. მაშინ გზაც ადრე გაკეთდება და უკეთესიც იქნება.

⁂ ს. ზედლები: ამას წინად ჩვენს სოფელსაც ეღირსა ქართული წარმოდგენა. თ. ნ. ტ. დადიანის მეცადინეობით წარმოადგინეს გ. ერისთავის „ძუნწი“ და პატარა ვოდევილი. წარმოდგენაზე დასწრება უფასოდ იყო, ხალხი ბევრი დაესწრო და დიდად კმაყოფილიც დარჩა. იმედია, ამ მცირე სულის და გულის სასარგებლო დროგატარებას კიდევ გვაღირსებენ სცენის მოყვარენი.

⁂ ს. ქედა (ქვედა აჭარა): თხუთმეტი დღეა, რაც სოფ. მერისში დაიკარგა ერთი ახალგაზდა 28 წლის კაცი, ალი-ედი ბელ-ოღლი. ეს კაცი სრულიად ხელ-მარტო იყო. არც დედ-მამა ჰყავნდა და არც ძმები; დები გაათხოვა, სახლში მარტო სცხოვრობდა და ყანის მუშა იყო. ახლო მეზობლებმა მიაქციეს ყურადღება იმისს სახლს, ჰნახეს, რომ სახლი დაკეტილი იყო და პატრონი არსადა სჩანდა. განაცხადეს ადგილობრივ სასამართლოში, სასამართლომ ბევრი ეძება ეს დაკარგული კაცი, მაგრამ ვერავერი კვალი ვერ იპოვნა, არავინ იცის ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ. 1 სექტემბერს სასამართლოში ერთმა კაცმა გამოაცხადა და შეატყობინა, რომ მდინარეში დამრჩვალი კაცი ვნახეთ და ვინ არის, არ ვიცითო. მაშინვე სასამართლოდგან კაცი წავიდა დამჩვალის გვამის სანახავად. მივედით აღნიშნულს ადგილას და საზარელი სანახავი ვნახეთ. წყალს გამოელეკა ადამიანის შიშველი მარცხენა ფეხი, რომელიც მუხლს ქვეით იყო და ზედა ნაწილი-კი მთლად დაგლეჯილი, შარვლით იყო მოსილი. რასაკვირველია, მარტო ფეხით დამრჩვალის კაცის ვინაობის გამოცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ მოგროვილმა ხალხმა განაცხადა რომ შარვალი დაკარგულ ალიასიო. როგორ დაირჩო საბრალო ალია, ან სად არის მისი დანარჩენი სხეული, არ ვიცით. როგორც ამბობენ, საბრალო მშვენიერის სქესის მოყვარული ყოფილა, ღამ-ღამ ბროდიალი სცოდნია და ამ გულის-თქმისთვის უნაცვალებია თავიო...

⁂ იქიდამვე: სექტემბერი დადგა და ჰაერიც გამოიცვალა, სიცივე და ყინვა თან მოჰყვა. თუ ასე გასტანა, მოსავალი ცუდი გვექნება: სიცივისაგან სიმინდები დაიძრა. რაღა ეს გვინდოდა, როცა უამისოდაც არ გვგონია კიდევ იყოს დედა მიწაზედ ისეთი ყრუ ადგილი, სადაც ჩვენსავით განათლების სულ მცირე ნაპერწკალიც არა ჰბჟუტავდეს. თავი კაცი არც გვყავს, რომ იზრუნოს ჩვენთვის და ერთი სასწავლებელი დაგვიარსოს. ჩვენი შვილები თუმცა ნიჭით უკან არავის ჩამორჩებიან, მაგრამ უყურადღებოდ-კი არიან დატოვებულნი და, თოფისა და ფიშტო-ხანჯალის ხმარების მეტი, სხვა არა იციან-რა. 12 წლის ყმაწვილმა ჩვენში მშვენიერად იცის სილაღის ხმარება და გარდა კაცის კვლისა და ავაზაკობის მეტი არა ესმის რა. სამწუხაროდ, ჯერ არ გამოჩნდა ისეთი ვინმე, რომ უსწავლელ ხალხს ჩააგონოს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ბავშვების აღზრდას და ხალხს გაუღვიძოს სურვილი სწავლისა. არც იმდენად ღარიბები ვართ, რომ პატარა სოფლის სასწავლებლის ხარჯის გადახდა ვერ შევიძლოთ.

⁂ 9 სექტემბერს ახალ არსენალის ქუჩაზე სარაპულის მაზრის მცხოვრებლის ქალმა 19 წლის აგრაფენა ფეკლისტოვისამ თავის მოკვლა განიზრახა და წყალში გახსნილი წუმწუმა დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს საქიმოდ.

◆◆

ქალაქის საბჭო

სექტემბრის 9

თუმცა იმედი არ იყო, რომ პირველს კრებას დაესწრობოდა კანონიერი რიცხვი ხმოსანთა, რადგან ბევრნი მათგანი ჯერ არ დაბრუნებულან აგარაკებიდგან, მაგრამ მაინც ხმოსანნი საკმაოდ შეიკრიბნენ, და ქალაქის თავმა გახსნა კრება. საზოგადოებამ კვლავინდელივით ბლომად მოიკრიბა თავი საბჭოს დარბაზის აივანზე. როდესაც თიბათვის უკანასკნელ კრების ოქმის წაკითხვა გათავდა, ქალაქის თავი შეუდგა მორიგ საქმეთა მოხსენებას. საქმეთა სიაში პირველი ადგილი ეჭირა წინადადებას ქალაქის თავისას მასზედ, თუ რითი შეუძლიან ტფილისის წარმომადგენლობას პატივი სცეს დიდს პოეტს მ. ი. ლერმონტოვს. ქალაქის თავი შეეხო ამ დაუვიწყარის პოეტის დიდებას, მოიხსენა, რომ ლერმონტოვს ძლიერ უყვარდა ჩვენი მხარე და მისმა საკვირველმა პოეზიამ მიაქცია რუსეთის განათლებულის საზოგადოების ყურადღება კავკასიის ავ-კარგიანობაზე, გარდა ამისა ყოველს ნასწავლს კავკასიელს გამოუვლია ლერმონტოვის აღფრთოვანებულ პოეზიის ხელში, და ამიტომ ყველა ჩვენგანი მოვალენი არიან პატივი სცენ ამ დაუვიწყარს მოღვაწეს. ნიშნად თვითმმართველობის პატივისცემისა ამ პოეტის მიმართ, ქალაქის თავმა მისცა საბჭოს წინადადება ერთ-ერთს ტფილისის ქუჩას დაერქვას სახელი ლერმონტოვისა. ამას დასძინა, რომ ლერმონტოვი ორჯელ ესტუმრა ტფილისს, მხოლოდ ცნობები არა გვაქვს, რომელს ქუჩაზედ ან ვის სახლებში სცხოვრობდა ლერმონტოვი, რომ იმ ქუჩისთვის დაგვერქმია პოეტის სახელი. ამიტომ სთხოვა საბჭოს დაავალოს ქალაქის მდივანს და გამოაკვლევინოს საგუბერნიო მაზრის არხივებში, ეგებ იქ მაინც იყოს რაიმე ცნობები, თუ სად ჩამოხდებოდა ხოლმე ლერმონტოვი. კრებამ სრულად მიიღო წინადადება საბჭოსი. მხოლოდ ხმ. მიქელაძემ გამოაცხადა სურვილი, რომ გამგეობამ შეჰკრიბოს ცნობები შესახებ ქუჩების სახელწოდებისა და წარმოადგინოს თავისი აზრი, რომელს ქუჩას რა სახელი უნდა ეწოდოს. ჩვენს ქალაქში—სთქვა ბ-ნმა მიქელაძემ—ხშირად ისეთის კაცების სახელები ჰქვიან ქუჩებს, რომელთ არავითარი სამსახური არ მიუძღვით საზოგადოების წინაშე, მაგალათად, ისარლოვის ქუჩა. ვითომ ამ ქუჩას რად უნდა ერქვას ისარლოვების სახელი? რა ღვაწლი მიუძღვის ამ გვარს საზოგადოების წინაშე? ის ხომ არა, რომ ერთი ამ გვარეულობის კაცი ცენზორად იყო და სრულიად აღადგინა ტრადიციები რუსეთის მეოცე წლების ცენზურისაო!

სხვა საქმეთა შორის საყურადღებო იყო წინადადება ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისა მასზედ, რომ ქალაქის ექიმებს მიემატოს ყვავილის ამცრელთა რიცხვი, ოთხის მაგიერ დაინიშნოს რვა კაცი, რომელთაც ეძლიოს ჯამაგირი წელიწადში ექვსექვსი თუმანი მაგიერ 25 მანათისა. ეს მომატება ამცრელთა რაოდენობისა საჭიროა იმის გამო, რომ ტფილისში მძვინვარებს ყვავილის ეპიდემიაო. თითქმის ყველა ხმოსანი ექიმი, მეტადრე ბ-ნი მალინინი, წინაამდეგი იყო ამცრელთა რიცხვის მომატებისა, რადგან ისინი უმეცარნი არიან და შველის მაგიერ უფრო სხვა-და-სხვა ავადმყოფობასავრცელებენო. ექიმ ბაბოვის აზრით, საჭიროა აცრა იკისროს ქალაქის სამკურნალომ და მისმა განყოფილებებმა ავლაბარსა და ნავთლუღშიო. საბჭოს მოეწონა წინადადება ხმ. ბაბოვისა და დაადგინა—ამ ადგილებში უფასოდ აუცრან ექიმებმა ყვავილიო.

ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია მოხსენებამ ქალაქის თავისამ შესახებ მილის წყალის მდგომარეობისა. ამ მოხსენებიდგან აღმოჩნდა, რომ ავჭალის წყაროები საკმარის წყალს ვერ აძლევს ქალაქს, ამიტომ საჭიროა მტკვრის წყალის ჩარევა, მაგრამ ფილტრის უვარგისობის გამო ეს წყალი ვერა სუფთავდება და წყაროს წყალსაც აფუჭებს. ათი-თორმეტი სხვა-და-სხვა საშუალება უნდა იქმნას ამ მოკლე ხანში განხილული, რომ ერთ-ერთის შემწეობით მაინც მოხერხდეს იმდენი წყალი მიაწოდოს ქალაქმა ტფილისის მცხოვრებთ, რამდენიც საკმარისი იქმნება ხალხის დასაკმაყოფილებლად და ქუჩების უხვ სარწყავად. მოკლე ხანში ყოველი ეს საშუალებანი შესწავლილ იქმნება და გამგეობა წარმოუდგენს საბჭოს ვრცელს მოხსენებას ამ საჭირ-ბოროტო საქმის შესახებ.

◆◆

გზა საბარათიანოზედაც და გულ ქართლზედაც. ამ დროს, შეიწროებული იმერთაგან, იდგა მეფე კონსტანტინე სოფელს ნიჩბისში, რომელიც კოჯრიდამ დევს 25—30 ვერსის მანძილზედ. კოჯორი ჰქონდათ გამაგრებული სოლოღაშვილებს,

სოლოღაანი მაგრობდნენ ციხეში დიდ ხანს. ისინი არა ტყდებოდნენ, იჩენდნენ ნამდვილს გმირობას. თათართ დაანგრიეს ციხისა ცალი გვერდი. სოლოღაანი მაინც არა ტყდებოდნენ და რამდენიც იერიში მიიტანეს თათართ ციხეზედ, იმდენი სოლოღაანთ დიდი მარცხით უკუ აქციეს. მაგრამ დადგა დიდი ზამთარი, ჩამოჰყარა საშინელი თოვლი, მეციხოვნეთ შემოაკლდათ საზრდო. ჯარი იძულებული იყო მისცემოდა მტერს, მაგრამ ვაჟკაცი სოლოღაანი არ ეკუთვნოდნენ იმგვართ მეომართა, რომელნიც ადვილად ეძლევიან მტერსა. რით და როგორ?—ეს ჩვენთვის საიდუმლოა და არ მოგვითხრობენ ჩვენი მწერალნი. ეს კია, რომ სოლოღაანთ დიდი მოხერხებით და ოსტატობით გადაარჩინეს მთელი ჯარი მტრის ხელს და დაუსხლტნენ მტერს დაგებული მახიდამ. ისინი მთელი ჯარით და მთელი ციხეში მცხოვრებლებით ისე მარჯვეთ გამოიპარნენ ციხიდამ, რომ თათართ სრულიად ვერა გაიგეს-რა. იმათ ეს გაიგეს მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც გაცხარებულნი მოადგნენ ციხეს იერიშით, და ციხე დახვდათ მთლათ ცარიელი.

ციხე დარჩათ თათართა. კოჯორის ციხეში თათართ ჰქონდათ ფეხის მოსამაგრებელი ადგილი. კოჯორიდამ ადვილი იყო ბატონობა გულს ქართლზედაც და საბარათიანოზედაც. ამას იქით საბარათიანოსაც და გულ-ქართლსაც ელოდა ცუდი ბოლო. იქიდამ იმერლობა გორამდის მოსული, აქედამ ყეენის ჯარები. ბარათაანიცა და მეფე კონსტანტინეც იყვნენ დიდს განწირულებაში. მეფე კვალად სთხოვდა შველას კახთა, ათაბაგს, მაგრამ ამაოდ. ისინი გახარებულნი შესცქეროდნენ კონსტანტინეს დამცირებას და ქართლის დაცემას. ავიწყდებოდათ, რომ ქართლის დაცემა იყო დასაწყისი მთელი საქართველოს დამხობისა.

მოუძლურებული მეფე კონსტანტინე ვერა ჰბედავდა ბრძოლას: იმას აღარც ჯარი და აღარც სხვა ძალა ბრძოლისა აღარა ჰქონდა საკმაო.

კოჯორიდამ თათარნი შეესივნენ ისევ საბარათიანოს და სამშვილდისა ანუ ორბეთის მიდამოს, რომ დაეჭირათ ახლა ეს მაგარი ციხეც საბარათიანოსი. იმათ დაიჭირეს ორბეთის მიდამონი. წამოასხეს აქედამ მრავალი ტყვე, მოსწყვიტეს მრავალი მოსახლონი, გადასწვეს, რაც დაიწოდა და წამოიღეს, რაც წამოიღებოდა.

მაგრამ ბარათაანი არა ტყდებოდნენ. იმათ არ იცოდნენ, რა არის მტრის წინ განდრეკა, მტრის წინაშე მორჩილება, მტრის წინ გულხელის დაკრება. იმათ შეჰყარეს ენაგეთში ლაშქარი. კონსტანტინემაც გამოუგზავნა მაშველად მცირეოდენი ჯარით ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ქავთარ სოლოღაშვილი, ქაიხოსრო თურმანიძე, ანუ, როგორც ზოგან ეძახიან, თუმანიშვილი.

თუმცა ბარათაანთ სთხოვეს მეფეს შველა, მაგრამ ამათ არ მოუცადეს მეფის გამოგზავნილს ჯარებსა, თუ-კი ეთქმოდა ჯარობა რამდენიმე თავადიშვილის თითქმის უბრალო ამალას.

ენაგეთში შეკრებილი ჯარით ბარათაანი ეცნენ ორბეთის ალაგებს.

ვინ იფიქრებდა, რომ იმ გულით, რა გულითაც დაესხნენ ბარათაანი თათართ, ისინი არ უძღოდნენ მთელს ლაშქარს და უძღოდნენ მხოლოდ მცირეოდენ ქართველთა. სულხან ბარათაშვილი მრისხანებდა გაათრებული ლომივით. სხვა ბარათაანი არ უვარდებოდნენ სულხანს მხნეობასა და საქმის დაწყობილებაში. ერთმხრივ სულხან ბარათაშვილი და იმისი ძმები, მეორეს მხრივ მერაბ ბარათაშვილი და სხვა ბარათაანი, როგორც მედგარი, ისრე ჩაერივნენ თათრის თავ ჯარებს.

საშინელება იყო მრისხანება ქართველებისა და საშინელება იყო ზარი, რაც ბარათაანთ დამართეს თათრებსა. მერაბ ბარათაშვილმა გააპო თათრის ჯარი და მივარდა ზედ ერთს საუკეთესო თათრის სარდალს, რომელიც მასთან ყეენის უკეთესი კარის კაცი იყო, და აჰკაფა ლუკმალუკმა. ერთხელ და ერთხელ დაშინებულნი ბარათაანთაგან თათარნი პირველსავე დასხმაზე გადრკნენ და შეიქნა იმათი უწყალო მუსრი „დახოცეს ურიცხვი, რამეთუ არა იყო განცდა მკვიდრისა, სისხლისა რუ დიოდა“—ამბობს მატიანე. სიტყვით, იქამდის დამარცხდნენ თათარნი, რომ ამავე მატიანეს თქმით, ის ქართველნი დედაკაცნი, რომელნიც თათართ ტყვეთა ჰყავდათ წამოყვანილი, იჭერდნენ ახლა თვითონვე თათრებს ტყვეთ და მათგან „სამი და ოთხი ტყვე მოსულმანი მოიყვანებოდა ყელ დოლბანდიანი“.

აქ დამარცხთა უმთავრესი ძალა სპარსთა, რომელნიც იყვნენ საბარათიანოში გამოსულნი. ამ ბრძოლას, როგორც ითქვა, ვერ მოუსწრეს მეფე კონსტანტინეს გამოგზავნილთ ჯართა, რომელთაც უძღოდნენ ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ქაიხოსრო თუმანიშვილი ანუ თურმანიძე და ქავთარ სოლოღაშვილი. მაგრამ ამათ შეეფეთა კარგა დიდი ჯარი თათართა, რომელიც მიდიოდა იმ ჯარების მისაშველებლათ, რომლებსაც ებრძოდნენ ბარათაანი. ცხადია, თუ მიუსწრებდა ეს ჯარი ბრძოლასა, ბარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთობა

დასავლეთს ევროპაში

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 191)

პირველი საზოგადოება სიფხიზლისა ირლანდიაში დაარსეს 1817 წ., შოტლანდიაში—1829 წ. თვით ინგლისში სიფხიზლის მოძრაობა დაიწყო 1832 წ., როცა „პრესტონის სამთა ვაჟკაცთა“ ფიცი დასდეს სიფხიზლისა და თავისის მაგალითით დიდძალი ხალხი მიიზიდეს. ირლანდიის ქალაქს კორკში სწორედ სიფხიზლის მოციქულობა გასწია მამა მატიუსმა (1786—1856), შვილმა შუათანა შეძლების მემამულისამ და შემდეგ მონაზონად შესულმა. 47 წლისა იყო, როცა თავ-დაჭერისა და ზომიერად ცხოვრების ქადაგება დაიწყო, ინგლისი და ამერიკა მოიარა და ათასობით მსმენელთ იზიდავდა. თუმცა იმის სიკვდილს შემდეგ ბევრი გადუდგა იმისს მოძღვრებას, მაგრამ დიდებულის მქადაგებელის სიტყვები ამაოდ არ დაკარგულა: იმისის წყალობით სიმთვრალესა და ლოთობას მეცნიერებმა, ექიმებმა და სახემწიფო კაცებმაც მიაქციეს ყურადღება. 1856 წ. მოქმედება დაიწყო „საერო კავშირმა სიფხიზლისამ“, ქსენონები გაჰმართეს ლოთების მოსარჩენად, ჟურნალი დაარსეს და სხ. ამ საქმეს წინ უძღოდნენ ისეთი კაცები, როგორნიც არიან, მაგალითებრ, ბრაიტი, ლოუსონი, გლადსტონი, კარდინალი მანინგი, ფარარი, ექიმი რიჩარდსონი და სხ.

ამ ჟამად ინგლისის სიფხიზლის საზოგადოებაში 4 მილიონამდე წევრია. ყმაწვილებსაც რამდენიმე საზოგადოება აქვთ დაარსებული სიფხიზლისა... ამას წინადაც დაარსეს „სიფხიზლის საზოგადოება ყმაწვილ ქალებისა“ შემდეგის, ცოტა არ იყოს, ახირებულის, დევიზით: „ბაგენი, რომელნი მიეკარებიან სპირტეულს სასმელს, ჩემის ბაგების მოკარებას ვერასოდეს ეღირსნენ“. განსაკუთრებით მხნედ შეუდგა საქმეს ინგლისის სიფხიზლის საზოგადოება შარშან, როცა მთავრობამ, რათა შეემცირებინა სასმელების დუქნების რიცხვი, ითხოვა, რომ აქციზის გარდასახადს მიუმატოთო. რადგან დიდ-ძალი სასმელების დუქანი უნდა დაკეტილიყო, მთავრობა იმ აზრისა იყო, რომ დავაჯილდოვოთ იმათი პატრონებიო. იმათის დასაჩუქრების წინააღმდეგნი იყვნენ ლოუსონი, გლადსტონი, გარკური და სხვ. სამწუხაროდ, სიმთვრალეს ბევრი მომხრე აღმოუჩნდა. წარმოიდგინეთ, პალატის წევრთა ერთს მესამედს თავისი საკუთარი სასმელების დუქნები აქვს: ოფიციალურის ცნობებით, 19 ჰერცოგს 321 სასმელების დუქანი აქვს, 12 მარკიზს—106 დუქანი, 74 გრაფს—645, 7 ვიკონტს—45 და 69 ბარონს—420 დუქანი. ერთხელ დაარსდა ერთი კეთილ-შობილთა ქალთა სიფხიზლის საზოგადოება, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ საზოგადოების თავმჯდომარე ქალს, ლედი სომერსეტს, ორი არაყის დუქანი ჰქონდა. ერთი ისეთი ეპისკოპოსიც ერია ამ საქმეში, რომელსაც სასმელების დუქანი ჰქონდა გამართული...

თუმცა ასეთს ძლიერს წინააღმდეგობას უწევენ სიმთვრალეს, მაინც ლოთობა ინგლისში და განსაკუთრებით-კი ირლანდიაში ძალიან ჰმატულობს. ასეთივე ამბავი ხდება საფრანგეთშიაც. ამ ქვეყანაში 1890 წ. წინა წელზედ 10% იმატა არაყის ხმარებამ და შემდეგ თანდათან გაძლიერდა. აქაც არის დაარსებული საზოგადოებანი სიფხიზლისა, განსაკუთრებული ჟურნალები, მწერლები (მაგალითებრ, როშარი) და სახელმწიფო მოღვაწენი (ლეონსე), რომელნიც ლოთობის წინააღმდეგ იბრძვიან, მაგრამ აქამდე ვერა მოუხერხებიათ-რა. გერმანიაშიაც ისევე ძლიერდება ლოთობა, როგორც ინგლისსა და საფრანგეთში. 1877 წელს გერმანიის სამკურნალოებში სულ 4,775 კაცი იყო, რომელსაც ლოთობის სენი სჭირდა, და რვა წლის შემდეგ-კი, 1885 წ., ამ რიცხვმა 10,360-მდე იმატა. ამას გარდა, ამავ წელს სიმთვრალისაგან გარდაიცვალა 1,335 კაცი, 500 კაცმა თავი მოიკლა, 500 ჭკუიდგან შეიშალა და 13,000 ბოროტ-მოქმედება და ავაზაკობა ჩაიდინა. დიდად ხელს შეუწყობს სიმთვრალისა და ლოთობის გავრცელებას ამას წინად გამოგონილი სპირტის გამოსახდელი მანქანა პროფესორის ვალლრაფისა. ამ მანქანაში გაფცქვნილსა და დაფხეკილს კარტოფილსა ჰყრიან და $3^1/_2$ საათს შემდეგ ონკანიდგან (кранъ) სრულიად გამზადებული 100 გრადუსიანი სპირტი ჩამოდის.

ყველაზედ ფხიზელი ქვეყნები ევროპაში იტალია და ნორვეგიაა. 50 წლის განმავლობაში ნორვეგიაში ლოთობამ ერთი ოთხად იკლო. მიზეზი ამისი ის არის, რომ კანონით შეზღუდეს სასმელით ვაჭრობა. ეხლა, კიდევ გერმანიაში ყველანი იმ აზრისანი არიან, რაც შეიძლება, თანდათან უნდა შემცირდეს რიცხვი სასმელის დუქნებისა და არაყის დიდძალი ხდაც აღიკრძალოსო.

◆

უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ვენელი კორესპონდენტი დეპეშით აუწყებს გაზეთს „Times“-ს, ავსტრი-ვენგრიაში ამ ჟამად დიდი მოძრაობა ეტყობათ სლავიანთა. „კრონშტადტში მომხდარმა მანიფესტაციებმაო—იწერება კორესპონდენტი—ისეთი გავლენა არსად და არავისზე არ იქონია, როგორც ჰაბსბურგების მონარქიაზეო. რუსეთის მომხრე დასი სრულიად აღარა ჰმალავს თავისს მიკერძოებას რუსეთისაკენ და მის სასარგებლოდ მოქმედებას. ამ უკანასკნელს დროს მლადოჩეხელი დეპუტატები, საცაკი სიტყვას ამბობენ ამომრჩეველთა შორის, ყოველთვის სამთა კავშირსა ჰკითხავენ და გაშტის ნათქვამსა და აზრს იმეორებენ, თუმცა წინად რეიხსტაგში თვითონვე უარყვეს მისი თანამოაზრეობა. ამ გვარივე მოძრაობა ეტყობათ სლავიანთ ზაგრებსა, ფიუმესა და სხვა ქალაქებშიც.

ამას წინად კონსტანტინოპოლში მომხდარი ამბები ვენის პოლიტიკოსებს არ ეუცხოვათ. ამათ იცოდნენ და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ კრონშტადტში მომხდარი მანიფესტაცია გავლენას იქონიებდა ოსმალეთის პოლიტიკაზე. ამიტომაც კონსტანტინოპოლის ამბები საშიშოდ არ მიაჩნიათ. რაც შეეხება რუსეთის მიერ სამხედრო მზადებას ბესარაბიაში, ამის თაობაზე იმას ამბობენ, რომ ეგ მზადება ჯარის წვრთნა-ვარჯიშობისათვის ხდება და მეორეს მხრით რუსეთსა ჰსურს აგრეთვე გაიადვილოს ჯარის თავის მოყრა საზღვარზე იმ გვარადვე, როგორც 1889 წელს გალიციისა და გერმანიის საზღვარზე მოხდაო; სივრცე რუსეთის იმპერიისა ძლიერ აძნელებს ჯარის ამხედრებასა და სწორედ ეს უხერხულობა უნდა აიცილოს თავიდგანაო. ავსტრი-ვენგრიამ მაინც უყურადღებოდ არ დასტოვა რუსეთის მიერ ბესარაბიაში სამხედრო მზადებანი და თავის მხრივაც შეუდგა ჯარების თავის მოყრასა და ყაზარმებისა და სურსათის საწყობების შენებას გალიციაში. ამ გვარადვე იქცევა გერმანიაც. ვენაში არა ჰგონიათ, თუ საქმე გამწვავდება იმის გამო, რომ რუსეთმა პრუტის ჩასართავისკენ დნესტრის პირად მოუყარა ჯარს თავი, მაგრამ მაინც-კი ფხიზლად ადევნებენ თვალ-ყურს რუსეთის ჯარების მოძრაობას.

ოსმალეთი. კონსტანტინოპოლის სამინისტროთა ცვლილების შესახებ გაზეთი „Figaro“ შემდეგს საყურადღებო ცნობებს იუწყება. კარგა ხანია ხონთქარმა შეიტყო, რომ სამთა კავშირი ისე ძლიერი არ არის, როგორც თავისი თავი ჰგონია, რომ საფრანგეთმა შესამჩნევად წამოიწია და ზნეობრივად და ქონებრივად ზურგი გაიმაგრა. რუსეთმა რომ საფრანგეთს ძმურად ჩასჭიდა ხელი, ეს ამბავი, ხონთქრის აზრით, უტყუარი ნიშანია საფრანგეთის ძლიერებისა. ხონთქარმა აზრი შეიცვალა და ამ გვარად გრაფი მონტებელლო დაახლოვებულ კაცად შეიქმნა ხონთქრისა ქიამილ ფაშის საკვალალოდ.

ჯერ ლორდმა სალისბერიმ ხონთქრისთვის საწყენი პასუხი მისცა რუსტემ-ფაშას, ეგვიპტიდგან ჯარების გაყვანის შესახებ ბაასის დროს და შემდეგ ინგლისის პირველ მინისტრის მიერ გილდგოლდში წარმოთქმულმა სიტყვამ ეგვიპტისა და ბოლგარიის შესახებ ხომ ნათლად შეაგნებინა ხონთქარს, რასაც აპირობდა ინგლისი ამ ორის საგნის თაობაზე და ან რა პოლიტიკას ადგა ოსმალეთის შესახებ. ამ დროს განმავლობაში-კი საფრანგეთის ესკადრაც ეწვია რუსეთს კრონშტადტში და მას ზედ მოჰყვა პორტსმუტში მეჯლისებიც. ვერ წარმოიდგენთ, რა ამბავი მოახდინა ამ გარემოებამ კონსტანტინოპოლში. სჩანს საფრანგეთი ძლიერი ყოფილა, თუ რუსეთი და ინგლისი ულოლიავებენო. ნუ დაივიწყებთ, რომ ოსმალებს რუსეთის სიძლიერეზე გაზვიადებული აზრი აქვთ შედგენილი და მისი უფრო ეშინიანთ, ვიდრე ევროპის სხვა რომელსამე სახელმწიფოსი. სწორედ ამიტომაც ჰგონიათ, რომ რუსეთი და საფრანგეთი ძლიერია სამთა კავშირზეო.

ხონთქარმა გარდასწყვიტა რუსეთსა და საფრანგეთთან დაახლოვება, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჰსურს სამთა კავშირს განშორდეს იმ იმედით, რომ იქნება ამ ორ სახელმწიფოთა დახმარებით მაინც მოვიკარგიანო ეგვიპტის საქმე, რადგან სამთა კავშირის მიმხრობამ ვერაფერი მიშველა-რაო.

ამას შემდეგ ქიამილ-ფაშა დაეცა; იქნება კიდევ ცოტა ხანს შერჩენოდა ხელში მართველობა, რომ ყაჩაღი ათანასი და ტომაზო არ გამოჩენილიყვნენ. შეიტყო თუ არა ყაჩაღების მიერ ტყვეების წაყვანა, ხონთქარი გაურისხდა მინისტრებს.

გერმანიის ელჩი ამ დროს ძლიერ ამაყად იქცეოდა, თითქმის აწყენინა კიდეც სასახლეში მისვლისა და გერმანელ ტყვეების შესახებ ლაპარაკის დროს, ხოლო საფრანგეთის ელჩია ძლიერ წყნარად და თავაზიანად იქცეოდა. რაიმონდის გასანთავისუფლებლად თავისი ფული გაუგზავნა ყაჩაღებს და თანაც ხონთქარს სთხოვა, ჟანდარმებს ნუ გაგზავნით, რომ გაბრაზებულმა ყაჩაღებმა არა ავნონ-რა რაიმონდსაო. აი ამ მცირე ამბავმა, გერმანიის ელჩის სიამაყემ და საფრანგეთის ელჩის თავაზიანობამ გადააწყვეტინა ხონთქარს, მიჰმხრობოდა რუსეთსა და საფრანგეთს.

ხონთქარის ამ გარდაწყვეტილებას პირველად ის მოჰყვა, რომ ოსმალეთი მოურიგდა რუსეთს შესახებ დარდანელში რუსეთის გემების გატარებასა ჯარით და ქიამილ-ფაშა დათხოვნილ იქმნა. უნდა მოვახსენოთ, რომ ქიამილ-ფაშა, რაკი ინგლისის საელჩო და სამთა კავშირი მხარს უჭერდა, საშინლად თავს გავიდა და ბოლოს დროს ზოგჯერ ხონთქრის ფარმანსაც-კი არ ასრულებდა ხოლმე.

კითხი არ უნდა, ქიამილ-ფაშის დათხოვნა ოსმალეთის საფრანგეთსა და რუსეთთან დაკავშირებას არა ნიშნავს, მაგრამ ის-კი, რომ სამთა კავშირი და-

---

თაანი ჩაერევნენ განსაცდელში და ადვილად შეიძლებოდა წამხდარიყვნენ თათართაგან. მაგრამ ჯერ კიდევ სდუღდა და ტრიალებდა ქართველობაში გული და ძალა, რომელიც შთანერგეს ამათში საქართველოს ერთმეფობის დრომ და ამ გვართა დიდებულთა მეფეთა და სარდალთ, როგორც დავით აღმაშენებელი, გიორგი მეფე, მამა თამარისა, თვითონ თამარ, ზაქარია მხარგრძელი, გამრეკელი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი. ამ მცირე ქართველთ იცოდნენ, რომ თუ ესენი მიუსწრებდნენ ომს და მიეშველებოდნენ ბარათაანთზედ თათრებსა, ქართლის საქმე წასული იყო. ესენი ამ მცირე ჯარით გადეღობნენ წინ ერთი ათად მეტს თათრის ჯარსა, ეკვეთნენ ყოველი თავის ღონით. შეიქნა მედგარი ბრძოლა. თათარნი იყვნენ უძლეველნი, რადგან ქართველობა მათ წინაშე არც-კი სჩანდა. ჯავახიშვილი, თუმანიშვილი და სოლოღაშვილი როგორც ნამდვილი მდევ-გმირი ტრიალებდნენ მტრის რაზმებში და არ ადგმევინებდნენ თათრებს წინ არც ერთს ნაბიჯს. თითო ამათგანს მოუკლეს ბრძოლაში სამი ცხენი. მაგრამ ესენი მაინც იდგნენ მთასა და კლდესავით.

აქ რომ ეს გაცხარებული ომი იყო, და ქართველობა არ უშვებდა თათრებს, რომ მისულიყვნენ ბარათაანთზედ და მიშველებოდნენ თათრებს, ამ დროს თვით ბარათაანი მოადგნენ თათრებს ზურგიდამ. შეიქნა კვალად უწყალო მუსრი თათრებისა. ბარათაანი შეიქნენ შეუბრალებელნი. თათართა მარცხი იყო წარმოუდგენელი. მატიანეს თქმით თათარნი ახლა უფრო დამარცხდნენ, ვიდრე წინა ომში. ახლად დამარცხებული თათარი და ეს მეომარი თათარი ერთად მოიმწყვდნენ გამარჯვებული ქართველების შორის და შეიქნა უწყალო მუსრვა, მუსრა რომელზედაც ამბობს მატიანე, რომ „დიდისა ულუსისა ლაშქრისაგან ცოტანი ჩაღთაულნი წავიდეს მაცნედ (მოამბეთ) სხვა ყველა დაიხოცა და ხელთა დარჩა (ქართველთა)“.

ამ ბრძოლაში გასწყდა უმთავრესი და უკეთესი ჯარი ყეენისა. ამ მარცხით სრულიად მოუძლურდნენ თათარნი.

ჩავიდა თუ არა ეს ამბავი ტფილისის გარშემო მდგომ თათრის ჯარებთან, ისინი აიტანა შიშის ზარმა. იმათ აღარა ჰქონდათ იმდენი ძალა, რომ გამკლავებოდნენ ქართველებსა. ყეენის სარდლებმა მოსაზრეს, რომ ახლა გაცლა სჯობდა და გაცლა საწრაფო. იმათ საჩქაროდ ანებეს ტფილისს თავი, რომელიც ჰყავდათ დიდს შეჭირვებაში, და გასწიეს თავის ქვეყნისაკენ ისრე საჩქაროდ, რომ მდევარიც-კი ველარ მოეწია.

ყეენის ჯარმა სულ დასცალა მთელი ქართლი. მეფე კონსტანტინე მიუხტა ბარათაანებით ყეენისაგან ქართლის საზღვარზედ დასახლებულთ ელთა და აჰყარა. საქართველო განთავისუფლდა მესისხარი იაყუბ ყეენის ჯარებისაგან. მეფე კონსტანტინე მობრძანდა ტფილისში და დაიჭირა თავისი მამა-პაპის სატახტო ქალაქი. ხალხის აღტაცებას და ლხინს არა ჰქონდა დასასრული. კონსტანტინე შეუდგა ისევ საქართველოს შეერთების საქმეს.

ქართლმა, განთავისუფლებულმა სპარსთაგან, მოიცა ძალა, იწყო ისევ მოშენება. ჰფიქრობდა კიდევ ანაკოფიიდამ დარუბანდამდის, ყიფჩაყეთიდამ რკინის პალომდის და კარნუ ქალაქამდის საქართველოს აღდგენას.

მატიანე ამ გვარად აფასებს ბარათაანთ სანცვიფრო და საისტორიო საქმეებს.

„ამაზედა იპრიანა ღმერთმა და წყალობითა მოჰხედნა ბარათაანთა შეჭირვებასა (მეცადინეობას) და ამას უკანის თათართა ძალი ველარ უკადრებია და არცა-და რბევა. გატყდეს და შეშინდეს“.

ასრე იხსნეს თავისი უმაგალითო მეცადინეობით, გაუტეხარი გმირობით, ქვეყნისთვის თავის გაწირვით ბარათაანთ ქართლის სამეფო და მასთან მთელი საქართველო თათართა ანუ სპარსთა ხელიდამ, სისხლით გაუმაძღარი იაყუბ ყეენის მახვილისგან.

მცირე ბარათაანთ, რომელთაც სამფლობელო იაყუბ ყენიის მეათასედ ნაწილსაც არ შეადგენდა, სძლიეს მთელი სპარსეთი და აჰმდის უძლეველი იაყუბ ყეენი, რომლისაც წინ ძრწოდა მთელი ასია, უძლიერესი სახელმწიფონი.

ამ გვარი ძალა იფარებოდა ქართველს ხალხში, ამას უფრთხოდნენ, არამც თუ უზუნ-ჰასან ყეენი, იაყუბ ყეენი და სხვანი, უფრთხოდა თვით მძვინვარე და თითქმის მთელი ქვეყნის მფლობელი, მძლეველი და მაოხრებელი ლანგ თემურ, რომლის მახვილის წინ სხვა ხალხი ვერც-კი ჰბედავდნენ ბრძოლას, რომელსაც ძალით და სარდლობით აყენებენ თანასწორ პირველთა სარდალთა სოფლის გაჩენიდამ, რომელმაც უძლიერესი სულთან ბაიაზეთი შეიპყრა და ატარებდა რკინის გალიით,—და რომელმაც ექვს შემოსევაზედ ვერც ერთხელ ვერ შეიძინა ისრეთი ძლევა ქართველებზედ, რომელსაც სთქმოდა ძლევა დიდებული სარდლისა და არა ძლევა ათასთაგან ერთისა; ვერ შეიძინა ძლევა ისრეთი, რომ ფეხი მოეკიდებინა მკვიდრათ საქართველოში. მაგრამ ამ ძალას მოუღო ბოლო ერთმეფობის დაკარგვამ, სამთავროების განდგომამ, საერისთოების განძლიერებამ.

ა. ფ.

1890 წ. ივლისი.

მარცხდა. ეს პირველი შედეგია კრონშტადტისა და პორტსმუტში მომხდარ ამბებისა. თუნდა ამის მეტი სხვა შედეგიც არა მოჰყვეს-რა ამ ამბებს, მაინც ეს საკმაოდ საყურადღებოა, რადგანაც საფრანგეთს აღმოსავლეთისაკენ დიდი საქმეები აქვს. როგორც გინდა იანგარიშეთ და იმ კაცის დათხოვნა, რომელიც მომხრე იყო ინგლისისა და მოწინააღმდეგე საფრანგეთისა, დიდი საჩუქარი და თავაზია ხონთქრის მხრით საფრანგეთის ელჩისათვის, რომელიც ეხლა პეტერბურგს გადადის ახალს თანამდებობაზე.

◆◆

დეპეშა

10 სექტემბერი

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრი დღეს მიდის ჩრდილო-იტალიის ოქტომბრის დამლევამდე.

პეტერბურგის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე შვიდის ჯარის-კაცისა, რომელნიც მსახურობენ ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში სალდათებათ და რომელთაც ჰბრალდებოდათ ძალ-დატანებით გაწბილება დედაკაცისა. სასამართლომ გადუწყვიტა ოთხს კატორგა 8 წლით, 2—4 წლით; ერთი-კი სრულიად გაამართლა.

ბუენოს-აირესი. გუშინ ჩილის პრეზიდენტად ნამყოფმა ბალმასედამ თავი მოიკლა არგენტინის საელჩოს სადგომში სანტიაგოს.

სახელმწიფო ბანკის მოგებათა მე-51 ტირაჟში 2 სექტემბერს 1891 წ. ხუთასმანეთიანი მოგება ხვდა შემდეგს ბილეთებს მეორე შინაგანის სესხისას:

№№ ბილეთ.	№№ სერ.	№№ ბილეთ.	№№ სერ.	№№ ბილეთ.	№№ სერ.
1	3,932	18	3,956	34	15,500
2	3,452	18	14,206	34	16,999
2	6,630	18	15,968	34	19,411
2	8,922	18	16,974	34	19,995
2	12,491	18	18.430	35	6,639
2	13.945	19	635	85	8,051
2	15,318	19	2,720	35	10,693
2	16.732	19	8,586	35	11,499
2	17,716	19	8,842	35	12,397
2	19,707	19	14,591	36	784
3	3,482	19	14,604	36	826
3	7,298	19	15,582	36	3,325
3	8,786	19	16,571	36	3,754
3	9,887	20	2,792	36	8,907
3	15,263	20	3,311	37	3,764
3	16,847	20	8,340	37	14,915
3	17,958	20	15,776	38	886
3	18,734	21	9,742	38	2.952
3	19,201	21	13,401	38	11,733
4	644	21	14,346	38	11,934
4	7,783	22	3,597	38	16,935
4	12,784	22	5,696	39	252
4	19,396	22	6,650	39	3,982
5	2,907	22	11,551	39	5,981
5	5,956	22	13,457	39	9,329
5	10,158	22	19,226	39	13,220
5	11,815	23	8,220	39	16,894
5	16,509	23	14,045	40	1,320
5	17,588	23	15,250	40	4,421
6	3	24	452	40	11,697
6	1,173	24	7,252	40	12,881
6	2,085	24	7,758	40	13,600
6	5,763	24	12,970	41	8,435
6	7,746	24	16,984	41	12,355
6	8,437	25	4,392	41	16,276
6	9,038	25	5,882	41	19,779
6	18,035	25	8,898	42	4,883
7	1,771	25	11,014	42	8,586
7	7,637	25	11,312	42	11,400
7	8,981	25	11,580	42	15,429
7	16.669	25	19,334	43	4,039
8	17,288	26	5,625	43	4,433
8	18,089	26	9,709	43	8,755
9	1,696	26	13,058	43	12,981
9	3,350	26	16,343	43	14,250
9	9,039	26	17,813	43	15,168
9	9,835	26	17,846	43	16,830
9	10,292	27	641	43	18,848
9	13,369	27	1,978	44	8,741
9	19,995	27	8,038	44	10,224
10	2,500	27	13,116	45	5,549
10	3,615	28	1,738	45	9,498
10	4,680	28	3,294	45	14,177
10	11,052	28	3,746	45	18,975
10	17.685	28	4,359	45	19,021
11	3,386	28	6,511	45	19,431
11	3,646	28	7,261	46	3,216
11	5,739	38	11,533	46	7,257
11	8,423	28	11,555	46	8,602
11	10,517	28	12,909	46	14,377
11	13,544	28	13,033	47	67
12	3,670	29	6,291	47	443
12	9,705	29	10,303	47	2,436
12	15,317	29	19,097	47	3,759
12	18,951	30	5,778	47	7,650
13	5,571	30	9,694	47	7,779
13	6,388	30	10,801	47	11,500
13	12,959	30	15,745	47	12,819
13	16,315	30	17,282	48	5,027
14	8,130	31	5,564	48	5,650
14	12,377	31	11;868	48	9,591
14	13.211	31	13,576	48	12,618
14	18,980	31	15,567	48	18,829
15	2,674	32	1,972	48	19,161
15	5,885	32	7,037	48	19,708
15	6,089	32	9,078	49	7,352
15	11,341	32	15,410	49	8,203
16	1,191	32	17,172	49	10,097
16	2,861	32	17,312	39	14,646
16	17,901	33	1,038	50	7,390
17	1,019	33	3,025	50	9,159
17	4,313	33	4,349	50	11,847
17	5,289	33	4,716	50	11,949
17	10,346	33	9,443	50	13,105
17	12,518	33	9,885	50	15,890
17	19,078	33	18,086		
17	19,438	34	12,020		

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ და გაბათილდნენ:

19,568 7,843 5,306 17,386
17,197 13,479 17,668 7,954 4,401
5,711 9,199 18,404 12,836 7,521
18,539 15,808 2,384 16,366 19,101
7,983 14,901 16,824 2,952 8,102
5,979 17,291 13,824 17,081 15,955
19,883 3,434 8,432 14,010 6,476
10,218 6,419 1,053 19,335 10,221
13,437 13,775 6,895 7,608 5.863
15,630 7,356 17,006 17908 10,373
16,594 3,477 8,057 18,451 2,809
5,758 8,425 14,928 15,297 11,594
10,655 846 7,802 14,588 1,563
9,041 5,837 12,307 17,610 9,774
3,274 12,368 6,402 15,266 5,469
15,582 15,427 5,024 6,011 17,981
18,431 17,628 12,938 5,295 639
1,410 11,288 19,098 7,534 4,560
14,241 9,540 2,465 14,138 18,600

პეტერბურგის ბირჟა, 6 სექტემბერი

	მყიდველისა.		გამყიდველისა.		გაყიდულისა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7^1/_2$		7,	55	—	,,
ტამოჟნის კუპონები .	150		150,	62	—	,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,	14	—	,,	—	,,
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი	—	,,	—	,,	$237^1/_2$	
—მეორისა	—	,,	—	,,	$221^1/_2$	
—მესამისა	—	,,	—	,,	—	,,
სახელმწიფო თავად-აზნაურთის ბანკის ფურცელი, . , , ,	$210^1/_2$		—	,,	$122\ /_2$	
გირავნობის ფურცელი ტფილისის ბანკისა .	—	,,	—	,,	—	,,
ქუთაისის ბანკისა . .	—	,,	—	,,	—	,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	,,	—	,,	—	,,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

Профессоръ французскаго Университета, имѣющій дипломъ, 28 лѣтъ, женатый, желаетъ получить мѣсто профессора французскаго языка въ Южной Россіи. Рекомендаціи.—Писать M-r Desrayaux, professeur, 104, Boulevard S-t Germain (Poste restante) **Парижъ.** (0—მ—2)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

საუნჯე

მეათე საუკუნისა

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

ფასი ერთი აბაზი

(10—0—9)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ცენტრალურს ქალაქის საავადმყოფოში (მუხრანის ქუჩაზედ, ყუზანოვის სახლებში) და იმის განყოფილებაში (ავლაბარში, როზოვის მოედანზედ, დინგელშტეტის სახლში, და აბანოების კარებთან, ენფიანჯიანცის სახლში) დიდებსაცა და პატარებსაც

ყვავილს უცრიან უსასყიდლოდ

ყოველ-დღე, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—116—1)

Вышелъ въ свѣтъ и разосланъ подписчикамъ **ДВАДЦАТЬ СЕДЬМОЙ** выпускъ

„НАСТОЛЬНАГО ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ“

(Глинки—Гончаровъ) съ 14 портретами и 1 рис. въ текстѣ,
ИЗДАНІЯ ТОВАРИЩЕСТВА А. Гарбель и К°., въ Москвѣ.
Цѣна отдѣльнаго выпуска 40 к. на лучшей и 30 к. на обыкновенной бумагѣ.
Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ Россіи.

ПОДПИСКА ПРОДОЛЖАЕТСЯ исключительно въ конторѣ изданія—Москва, Тверская, Гнѣздниковскій пер., д. Мартыновой. (0)

ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში, იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, ...	9 ,, 50,,	5 ,, ...	5 ,, 50,,
10 ,, ...	8 ,, 75,,	4 ,, ...	4 ,, 75,,
9 ,, ...	8 ,, —,,	3 ,, ...	3 ,, 50,,
8 ,, ...	7 ,, 25,,	2 ,, ...	2 ,, 75,,
7 ,, ...	6 ,, 50,,	1 ,, ...	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 10-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.